



Covid-19 ავადმყოფობის დროს ფულად სარგებელზე წვდომა მათთვის ვინც ცხოვრობს განსახლების დაწესებულებაში

ნებისმიერ მუშაკს (მათ შორის არაირლანდიელსაც) შეუძლიათ მიიღონ ავადმყოფობის ფულადი სარგებელი პირველი დღიდან, თუ მათ სჭირდებათ თვით იზოლირება

პარასკევი, 7 აგვისტო, 2020

სოციალური დაცვის მინისტრი, ჰედარ ჰამფრეი, დღეს დაარწმუნა მომუშავე პირები, რომლებსაც აღმოაჩნდათ ინფექცია Covid-19, ან სერთიფიცირებულ არიან ექიმისგან რომ დარჩნენ თვით იზოლაციაში, რადგან მათ შესაძლებელია ქონდეთ Covid-19- ის ინფექცია, და, რომ ავადმყოფობის ფულადი სარგებელი მათთვის ხელმისაწვდომი იქნება მისი დეპარტამენტიდან.

ყველა თანამშრომელი (გარდა საჯარო სექტორის ზოგიერთი თანამშრომლისა, რომლებიც იხდიან შეცვლილ სოციალურ დაზღვევას) და თვითდასაქმებულები, მათ შორის, არაირლანდიელები და პირდაპირი უზრუნველყოფის პირობებში მცხოვრები პირები, უფლება აქვთ მოითხოვონ და მიიღონ სპეციალური Covid-19 ავადმყოფის სარგებელი.

ამ კვირის დასაწყისში, მინისტრმა ჰამფრეიმ უზრუნველყო მთავრობის თანხმობა გახანგრძლივდეს ავადმყოფობის ფულადი სარგებელის სქემის ხანგრძლივობა, მომდევნო წლის 31 მარტამდე.

ამ გადასახადის მისაღებად თანამშრომელმა უნდა:

- დიაგნოზირებულია Covid-19 ინფექციით, როგორც დამოწმებული რეგისტრირებული ექიმის მიერ, ან დამოწმებული რეგისტრირებული სამედიცინო სპეციალისტის მიერ, რომ ესაჭიროება თვით იზოლირება;
- უნდა იყოს 18-დან 66 წლამდე ასაკის;
- დასაქმებული ან თვითდასაქმებული და იმუშავა მათი "დამოწმების დღიდან" წინა ოთხი კვირის განმავლობაში.;
- ჰქონდეს სამუშაო ხელშეკრულება (თუ დასაქმებულია თანამშრომელი); და

- მინიმუმ ერთი გადახდილი გამომუშავებული სოციალური დაზღვევის შენატანი 4 კვირის განმავლობაში დაუყოვნებლივ, სანამ გადასახადს მოითხოვს.

როგორ განაცხადო:

ყველაზე სწრაფი და მარტივი გამოსაყენებელი გზა არის ონლაინ საიტზე www.MyWelfare.ie . განაცხადის ფორმებითვის ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ დეპარტამენტს ნომერზე (01) 704 3300

Covid-19 -ის ფულად დახმარებაზე განცხადზე არ არის არც ერთი დღე დალოდების, რაც ნიშნავს, რომ გადახდა იწყება იმ დღეს, როდესაც პირს სამედიცინო სერტიფიცირება აქვს, როგორც სამუშაოზე დასასწრებად არა მიზანშეწონილი. ჩვეულებრივ ვითარებაში, ადამიანები, რომლებიც განაცხადს აკეთებენ ავადმყოფობისას ფულად სარგებელზე, იღებენ სარგებელს 6 დღის შემდეგ განაცხადის გაკეთებიდან. ეს მოთხოვნა არ ეხება დაჩქარებულ ფულად დახმარებას ინფექციით დაავადებისას.

ტესტირება:

თუ ფიქრობთ, რომ შეიძლება გაქვთ Covid-19 და გსურთ, რომ დაურეკოთ თქვენს GP- ს - Covid-19-თან დაკავშირებული კონსულტაციები და რაც მოიცავს ტესტირების ყველა მითითებას HSE- ს მიერ არის უზრუნველყოფილი და უფასოა. ტესტი ასევე უფასოა.

გადასახადი:

გადასახადის პირადი განაკვეთი კვირაში 350 ევროა, ვიდრე ავადმყოფობის სარგებელი, 203 ევრო კვირაში.

დაჩქარებული ავადმყოფობის ფულადი დახმარება იხდება:

- ორი კვირა, როდესაც ადამიანი ექიმისგან სერტიფიცირებულია თვითიზოლაციისთვის, და
- მაქსიმუმ ათი კვირის განმავლობაში, როდესაც ადამიანი მედიცინურად არის დამოწმებული Covid-19- ის დიაგნოზით.

მინისტრმა ჰამფრეიმ განაცხადა:

“Covid-19- მა მრავალი გამოწვევა შეუქმნა თითოეულ ინდივიდს, ოჯახს და სამუშაო ადგილს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მსურს დღეს კიდევ ერთხელ დავარწმუნო ხალხი, რომ დაჩქარებული ავადმყოფობის სარგებლის გადახდა შესაძლებელია იმ

ადამიანებისთვის, რომლებსაც ის სჭირდებათ. მე განსაკუთრებით მინდა დავეწმუნდე, რომ არაირლანდიელებმა და პირდაპირი უზრუნველყოფის პრობებში მცხოვრებმა ადამიანებმა სრულად იციან ამ გადასახადის შესახებ და ასევე როგორ უნდა მოითხოვონ ის.

"მე ვთხოვე ჩემი დეპარტამენტის თანამდებობის პირებს, ითანამშრომლონ იუსტიციის დეპარტამენტის კოლეგებთან ერთად, რომ უზრუნველყონ ყველა უშუალო უზრუნველყოფის ცენტრში ამ ინფორმაციის მიწოდება და მისი დაუყოვნებლივ კომუნიკაცია ყველასთვის, ვინც ცხოვრობს ცენტრებში.

"თუ ადამიანი შემფოთებულია, მას შეუძლია დაუკავშირდეს ჩემი დეპარტამენტის სნეულების სარგებელის განყოფილებას და ისაუბროს ოფიციალურ პირთან, რომელიც მათ ურჩევს როგორ მოითხოვონ გადახდა და უპასუხონ ნებისმიერ კითხვას, რაც შეიძლება ჰქონდეს."

დანდემიისას უმუშევრობის გადასახადი

მინისტრმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებიც არაირლანდიელები არიან და უშუალო უზრუნველყოფის ცენტრებში ცხოვრობენ, ასევე აქვთ წვდომა, თუ დროებით გაათავისუფლებენ სამსახურიდან ანაზღაურების გარეშე, Covid-19 - ის გამო, შეუძლიათ მოითხოვონ სპეციალური პანდემიის უმუშევრობის ანაზღაურება და რომ ეს გადახდა მოხდება იმ დროიდან, როდესაც ისინი დროებით გაათავისუფლეს სამსახურიდან.

"მე მინდა დავრწმუნდე, რომ ყველა მუშაკს, ვისი სამსახურიც დროებით შეჩერებულია Covid-19- ის შედეგად ბიზნესის იძულებით დახურვის გამო, შეუძლია მიიღოს საჭირო შემოსავლის მხარდაჭერა. ეს ეხება მომუშავე ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ პირდაპირ უზრუნველყოფის ცენტრებში. დამსაქმებელთა უმეტესობა გააგრძელებს ამ გარემოებებში მუშაკების ანაზღაურებას დროებითი ხელფასის სუბსიდიის სქემის გამოყენებით. მაგრამ, როდესაც დამსაქმებელი ვერ განაგრძობს მუშაკის პირდაპირ გადახდას, მაშინ ამ პირმა უნდა მოითხოვოს პანდემიის უმუშევრობის ანაზღაურება."

პანდემიის უმუშევრობის გადახდაზე განაცხადის უმარტივესი გზაა ონლაინ საიტზე www.MyWelfare.ie. განაცხადის მიღებისას ადამიანებმა უნდა მიაწოდონ თავიანთი დამსაქმებლის სახელი და მათი სამუშაო ბოლო დღის დეტალები.

მინისტრმა ბოლოს დაამატა:

"საკვანძო გზავნილია ნებისმიერი მუშაკი, მათ შორის არაირლანდიელი ან უშუალო უზრუნველყოფის ცენტრში მცხოვრები პირი, რომელსაც სამედიცინო სერტიფიცირება აქვს თვითიზოლაციის და სამსახურიდან თავის არიდებას საჭიროებს, დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს დაჩქარებული ავადმყოფობის სარგებელი და დარჩეს უსაფრთხოდ. თუ მათი დამჭირავებლის ბიზნესი დროებით იხურება Covid-19- ის გამო, მაგრამ მათ არ

*მოეთხოვებათ იზოლირება, მაშინ, თუ მათი დამქირავებელი არ აპირებს მათ გადახდას,
მათ უნდა მოითხოვონ პანდემიური უმუშევრობის ანაზღაურება.”*

ENDS

პრეს ოფისის საკონტაქტო დეტალები

E: press.office@welfare.ie

T: 01 704 3082

gov.ie/deasp | [Twitter](#) | [Instagram](#) | [LinkedIn](#)